KINGS · ქართული ენის ოლიმპიადა

ტესტების მიმოხილვა

XI-XII კლასი · 2026 წლის შემოდგომა

I უფასო ტური · 8 ნოემბერი

ტესტის სტრუქტურა

#	სავარჯიშო	შეკითხვა	ქულა
I	გარემოება და მისი სახეები	5	10
II	რთული ქვეწყობილი წინადადება	5	10
III	შერწყმული წინადადება	5	10
IV	ლექსიკური სავარჯიშოები	5	15
V	სასვენი ნიშნები	5	15
VI	ტექსტის გააზრება	10	40
+	ბონუს სექცია	5	+25
	სულ	**35 + 5**	**100 + 25**

ტესტის შესახებ

XI-XII კლასის ტესტი შედგება **6 სავარჯიშოსა** და **ბონუს სექციისგან**. ძირითადი ნაწილი შეიცავს **35 შეკითხვას** და ფასდება **100 ქულით**, ბონუს სექცია კი **5 შეკითხვას** (დამატებით **25 ქულა**). ყველა შეკითხვა დახურული ტიპისაა: სამი სავარაუდო პასუხიდან (ა, ბ, გ) სწორია **მხოლოდ ერთი**. ტესტი ამოწმებს სინტაქსისა და პუნქტუაციის ცოდნას, ლექსიკას და ვრცელი ისტორიული ტექსტის გააზრებას.

სავარჯიშოები

I. გარემოება და მისი სახეები

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

გარემოება და მისი სახეები: დროის, ადგილის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის გარემოებები.

მაგალითი

რა სახის გარემოებაა „სიცივის გამო“ წინადადებაში: „სიცივის გამო გაკვეთილები გადაიდო“? **ა)** **მიზეზის** **ბ)** დროის **გ)** ადგილის

სწორი პასუხი: ა) მიზეზის → პასუხობს კითხვას „რატომ? რის გამო?“ - ეს მიზეზის გარემოებაა.

II. რთული ქვეწყობილი წინადადება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

რთული ქვეწყობილი წინადადება: მთავარი და დამოკიდებული წინადადებები, მაკავშირებელი სიტყვები.

მაგალითი

რომელია რთული ქვეწყობილი წინადადება?

ა) **როცა ზარი დაირეკა, მოსწავლეები კლასში შევიდნენ.**

ბ) ზარი დაირეკა და მოსწავლეები კლასში შევიდნენ.

გ) ზარის დარეკვისთანავე მოსწავლეები კლასში შევიდნენ.

სწორი პასუხი: ა) როცა ზარი დაირეკა, მოსწავლეები კლასში შევიდნენ. → დამოკიდებული წინადადება მთავარს სიტყვით „როცა“ უკავშირდება; „ბ“ თანწყობილია, „გ“ კი - მარტივი.

III. შერწყმული წინადადება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

შერწყმული წინადადება: ერთგვარი წევრები და მათი ამოცნობა.

მაგალითი

რომელია შერწყმული წინადადება?

ა) **ეზოში ბავშვები თამაშობდნენ, მღეროდნენ და ხტოდნენ.**

ბ) ეზოში ბავშვები თამაშობდნენ.

გ) როცა მზე ამოვიდა, ბავშვები ეზოში გამოვიდნენ.

სწორი პასუხი: **ა) ეზოში ბავშვები თამაშობდნენ, მღეროდნენ და ხტოდნენ.** → ერთ ქვემდებარეს („ბავშვები“) სამი ერთგვარი შემასმენელი აქვს.

IV. ლექსიკური სავარჯიშოები

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 3 ქულა თითოეულზე · სულ 15 ქულა**

ლექსიკა: იშვიათი და მოძველებული სიტყვების განმარტება, სინონიმები.

მაგალითი

რას ნიშნავს სიტყვა „უსტარი“? **ა)** **წერილს** **ბ)** ოსტატს **გ)** სასახლეს

სწორი პასუხი: **ა) წერილს** → „უსტარი“ ძველი ქართული სიტყვაა და წერილს ნიშნავს.

V. სასვენი ნიშნები

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 3 ქულა თითოეულზე · სულ 15 ქულა**

სასვენი ნიშნები: მძიმე, ორწერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები, სასვენი ნიშნები რთულ წინადადებაში.

მაგალითი

რომელ წინადადებაშია მძიმე სწორად დასმული?

ა) **ვიცი, რომ ხვალ გამოცდაა.**

ბ) ვიცი რომ, ხვალ გამოცდაა.

გ) ვიცი რომ ხვალ, გამოცდაა.

სწორი პასუხი: **ა) ვიცი, რომ ხვალ გამოცდაა.** → რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მძიმე მაკავშირებელი სიტყვის („რომ“) წინ იწერება.

VI. ტექსტის გააზრება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **10 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 40 ქულა**

მოცემულია ვრცელი ისტორიული ტექსტი მიქელ-გობრონზე. შეკითხვები ამოწმებს ტექსტის სიღრმისეულ გაგებას, ინტერპრეტაციასა და შეფასებას.

მაგალითი

სუღხან-საბა ოხბეღიანმა ოცდაათ წეღზე მეტი შხომა მიუძღვნა ქახთუღი ღექსიკონის შექმნას. „სიტყვის კონა“ ქახთუღი ენის პიხვეღი განმახტებითი ღექსიკონია, ხომეღიც ათასობით სიტყვას აეხთიანებს. ავტოხი ცდიღობდა, ქახთუღი სიტყვა დავიწყებისგან დაეცვა და მომავაღი თაობებისთვის შემოენახა.

რა მიზანს ემსახურებოდა „სიტყვის კონის“ შექმნა, ტექსტის მიხედვით?

ა) **ქართული სიტყვის დაცვასა და შენარჩუნებას**

ბ) მეფის ქების დაწერას

გ) უცხო ენის სწავლებას

სწორი პასუხი: **ა) ქართული სიტყვის დაცვასა და შენარჩუნებას** → ტექსტის ბოლოს ნათქვამია, რომ ავტორი ქართულ სიტყვას დავიწყებისგან იცავდა მომავალი თაობებისთვის.

ბონუს სექცია

ძირითადი ტესტის შემდეგ მოცემულია ბონუს სექცია: **5 შეკითხვა**, თითოეული 5 ქულა, ჯამში **25 ქულა**. შეკითხვები ზოგადია და ეხება ლექსიკას, ანდაზებს, გამოცანებსა და ფრაზეოლოგიზმებს. ბონუს ქულებით მოსწავლეს შეუძლია ტესტში დაშვებული **შეცდომები აანაზღაუროს**.

ქართული ენის ოლიმპიადის I უფასო ტური გაიმართება 8 ნოემბერს. გელოდებით!